

YOUTH NAVIGATING NEW REALITIES – FROM PERSPECTIVE TO MEMBERSHIP



ვაცხადებთ ქართველი, მოლდაველი და უკრაინელი სტუდენტების განაცხადების მიღებას
ზამთრის სკოლაში

„ახალგაზრდობა ახალი რეალობის პირისპირ - პერსპექტივიდან წევრობამდე“

📍 ზამთრის სკოლა ჩატარდება **3-7 დეკემბერს, საქართველოში, კახეთის რეგიონში**. მისი ორგანიზატორია საზოგადოებრივი ორგანიზაცია - ეგერია სოლუშენს (საქართველო) კონრად ადენაუერის სახელობის ფონდთან თანამშრომლობით.

📍 ზამთრის სკოლაში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა სპეციალობის ქართველი, მოლდაველი და უკრაინელი სტუდენტები. 4 დღიანი კურსის ფარგლებში, მათ საშუალება ექნებათ გაეცნონ ევროპული ინტეგრაციისა და დემოკრატიული მმართველობის საკითხებს და პარალელურად გაიუმჯობესონ ლიდერობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას და იმსჯელებენ შემდეგ საკითხებზე:

- ევროკავშირი, მისი ღირებულებები და პრინციპები;
- გარე პარტნიორებთან ევროკავშირის ჩართულობის/თანამშრომლობის პოლიტიკა;
- უკრაინაში რუსეთის ომის ფონზე მიმდინარე ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი;
- ეროვნული ინსტიტუტების როლი ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში;
- დემოკრატიული მმართველობის, სტაბილური ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის დაცვის აუცილებლობა;

- გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობისა და დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მიმართ მდგრადობის მნიშვნელობა.

ამასთანავე, მონაწილეებისთვის გათვალისწინებულია კულტურული პროგრამა, რომელიც მათ ქართულ კულტურასა და ტრადიციებს აზიარებს.

📌 **სავალდებულო მოთხოვნები:**

ზამთრის სკოლაში მონაწილეობისთვის კანდიდატი უნდა საუბრობდეს ინგლისურ ენაზე და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი მოთხოვნებიდან ერთ-ერთს:

- უნდა იყოს უკრაინის მოქალაქე და უნდა ირიცხებოდეს უკრაინის რომელიმე სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაში (II, III ან IV კურსის სტუდენტები);
- უნდა იყოს მოლდოვის მოქალაქე და უნდა ირიცხებოდეს მოლდოვის რომელიმე სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაში (II, III ან IV კურსის სტუდენტები);
- უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და უნდა ირიცხებოდეს საბაკალავრო პროგრამაზე (II, III ან IV კურსზე) საქართველოს ერთ-ერთ შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტში:
 - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
 - ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
 - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტი
 - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
 - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზამთრის სკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ, მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

- ◆ ზამთრის სკოლა ჩატარდება კახეთის რეგიონში, საქართველოში
- ◆ სამუშაო ენა: ქართული
- ◆ თარიღები: 3-7 დეკემბერი 2022

როგორ გავაკეთოთ განაცხადი:

ზამთრის სკოლაში მონაწილეობის მსურველებმა, ვინც ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, საკუთარი CV და მოტივაციის წერილი ინგლისურ ენაზე უნდა გამოგზავნონ შემდეგი ელ-ფოსტის მისამართზე: egeriasolutions@gmail.com

მოტივაციის წერილი უნდა იყოს 500-დან 800 სიტყვამდე.

გთხოვთ, მეილის სათაურში ("subject line") მიუთითოთ: Winter School 2022

• განაცხადების მიღების ბოლო ვადაა თბილისის დროით 18:00 საათი, 2022 წლის 10 ოქტომბერი.

• სკოლის ორგანიზატორები დაფარავენ მგზავრობასთან და კურსში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

შერჩეული კანდიდატები პასუხს, ელექტრონული ფოსტით, 30 ოქტომბრამდე მიიღებენ.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ შემდეგ მისამართზე: egeriasolutions@gmail.com